



საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება და რეიტინგი რეფორმის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ

კვლევის ფარგლებში IDFI-მ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2017-2019 წლის ხარჯებზე, შემოსავლებსა და რეიტინგებზე, დასაქმებულთა რაოდენობასა და ანაზღაურებაზე. პარალელურად, გაანალიზდა საჯარო წყაროებზე განთავსებული ინფორმაცია საკვლევ პერიოდში, მათ შორის, მაუწყებლის ახალ შენობასთან დაკავშირებული შესყიდვების ხარჯები, მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი შემოსავლები. მაუწყებლის წლიური რეიტინგები გამოითვალა TVMR საქართველოს ვებგვერდზე განთავსებული ყოველკვირეული რეიტინგების საფუძველზე, კონკრეტული გადაცემების რეიტინგები კი მოგვაწოდა TVMR საქართველომ.

ძირითადი მიზნობები




- საზოგადოებრივი მაუწყებლის საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, თუმცა **2019 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი აღებული სესხის ხარჯზე, გასულ წელთან შედარებით 93%-ით გაიზარდა** და 96 მლნ 970 ათასი ლარი შეადგინა.
- აღნიშნული სესხის მიზნობრიობა ტექნიკური გადაიარაღება იყო, თუმცა **სასესხო თანხის ათვისება 2019 წელს ვერ მოხერხდა**. 2020 წლის ბიუჯეტში 7 მილიონი ლარი სწორედ ამ გაუხარჯავი სესხის მომსახურებას უკავია.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის **ახალი შენობის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა ტენდერზე წინადადებების მიღება 2020 წლის სექტემბერში იწყება**. ძველი შენობის აუქციონის პირობების თანახმად კი, მაუწყებელი ახალ შენობაში გადასვლას 2023 წელს გეგმავს;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი **არ ასაჯაროებს როგორც არხის წლიურ, ასევე ცალკეულ გადაცემათა რეიტინგებს**;
- TVMR-ის ყოველკვირეული მონაცემებით გამოთვლილი წლიური რეიტინგის თანახმად, **2019 წელს მაუწყებლის ბაზრის წილმა 5.11% შეადგინა**. 2017 წლის მაღლაფერიძის გეგმის მიხედვით კი 2019 წლისთვის პირველი არხის რეიტინგი 15%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.
- **2019 წლის ყველაზე მაღალ ხარჯიანი გადაცემები „მასტერშეფი“ და „საქართველოს ვარსკვლავი“ იყო**. ამავე გადაცემებზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი რეიტინგი, შესაბამისად – 8.91% და 8.60%.
- **მაუწყებელში კვლავაც არ არის დამტკიცებული საშტატო განრიგი**, რაც მაუწყებელში დასაქმებულთათვის არასტაბილურ გარემოს ქმნის.



მთავარი გამოწვევები

2017-2019 წლებში, რეფორმის კაპიტალურ ნაწილზე უკვე დაიხარჯა დაახლოებით 14 მლნ. ლარამდე. მაუწყებლის ამ პერიოდის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- მაუწყებლის გაცხადებული გეგმა 2019 წლისთვის რეიტინგის 15%-მდე ზრდა იყო, რაც **ვერ შესრულდა**.
- 2018-2019 წლებში მაუწყებლის **რეიტინგის უმნიშვნელო ზრდა** მეტწილად გამოწვეულია არხზე დაწყებული ახალი პროექტებითა და მეგაშოუებით. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით განსაზღვრული როლიდან გამომდინარე, კითხვები ჩნდება, რამდენად ემსახურება აღნიშნული გადაცემები საზოგადოებრივ სიკეთეს.
- მაუწყებელი **არ ასაჯაროებს როგორც წლიურ, ასევე ცალკეული გადაცემების რეიტინგებს**, მიუხედავად იმისა, რომ ეს საჯარო ინფორმაციაა.



რეკომენდაცია

- მნიშვნელოვანია, რომ სამეურვეო საბჭომ და ახალმა გენერალურმა დირექტორმა **მკაფიოდ განსაზღვრონ მაუწყებლის პრიორიტეტები**, რომელიც თანხვედრაში იქნება მაუწყებლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებთან.
- აუცილებელია მენეჯმენტმა გაითვალისწინოს მაუწყებლის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და უზრუნველყოს მაუწყებლის შესახებ მნიშვნელოვანი **ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა**.

Supported by
Luminate
 Building stronger societies

IDFI
 ინფორმაციის თავისუფლების
 განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.